



## 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა რადიოების საარჩევნო მონიტორინგი

20 მაისი - 10 ივლისი, 2016 წელი

ა/ო „ინტერნიუსი - საქართველო“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში რადიოარხების მონიტორინგს ახორციელებს. იგი მოიცავს 12 რადიომაუწყებლის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს. ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ქალაქი“, „მაესტრო“, „ჰერეთი“(ქ. ლაგოდეხი), „რონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) და „აჭარა“ (ქ. ბათუმი).

**რადიოარხების მონიტორინგმა 2016 წლის 20 მაისიდან 10 ივლისის პერიოდისთვის, შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:**

- ყველაზე მეტი დრო მთავრობას, კოალიციას „ქართულ ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა“ დაეთმობ;
- რადიომაუწყებლების ყურადღების ცენტრში, პოლიტიკური პარტიებიდან „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო. თუმცა, წინა წლებთან შედარებით ნაკლები პოლარიზება შეიმჩნეოდა და სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის დათმობილი დროც შედარებით გაიზარდა;
- რადიომაუწყებლებს შორის კონკურენცია ნაკლებად იგრძნობა: ჟურნალისტები ექსკლუზიურ (ე.წ. საავტორო) სიუჟეტებს იშვიათად ამზადებდნენ;
- ზოგჯერ სხვადასხვა რადიოსადგურების გადმოცემული ინფორმაცია ერთმანეთის მსგავსი იყო, რაც აჩენს ეჭვს, რომ წამყვანი მხოლოდ საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციებს აჟღერებს და ჟურნალისტები დამატებითი ფაქტების მოძიებას არ ცდილობენ;
- რადიომაუწყებლების უმეტესობა მცირე დროს უთმობდა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას;

- რადიომაუწყებლების უმეტესობა სოციალურ საკითხებსა და უმცირესობების პრობლემებზე სიუჟეტებს ნაკლებად ამზადებდა;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებსა თუ ქვეყნის განვითარების ხედვებზე სირღმისეული სიუჟეტები არ მომზადებულა;
- რადიომაუწყებლები მიუკერძოებლად მუშაობდნენ, ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

## "რადიო 1" (საზოგადოებრივი მაუწყებელი)


„რადიო ერთი“ მოვლენებს მიუკერძოებლად, თუმცა მშრალად და ზედაპირულად აშუქებდა. ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 35 წუთი დაეთმოთ, საიდანაც რესპონდენტების პირდაპირ საუბარზე მხოლოდ 3% მოდიოდა. ყველაზე ხშირად მთავრობა (20%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (15%) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (12%) გაშუქდნენ. ყველაზე დადებით კონტექსტში კი - პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი და მთავრობა. თუმცა ის ფაქტი რომ, კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“ ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება მოდიოდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „რადიო 1“ ხელისუფლების მიმართ მიკერძოებული არ ყოფილა.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს დრო თითქმის არ ეთმობოდათ, თუმცა ივლისში ახალი ამბების გამოშვებების მიწურულს ჟურნალისტებმა პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების მოკლე მიმოხილვა დაიწყეს, რის ფარგლებშიც ათი ოპოზიციური პარტიაც გაშუქდა. თუმცა წინასაარჩევნო კამპანიაზე მოკლე და მშრალი სიუჟეტები მომზადდა.

ასევე მცირე დრო ეთმობოდა სოციალური და უმცირესობების პრობლემების გაშუქებას. ამ მხრივ, „რადიო 1“ არ გამოირჩეოდა და უმეტესად, პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა. არ ჩანდა ჟურნალისტების ინიციატივა, დამატებითი ინფორმაცია მოეძიებინათ ან ექსლუზიური სიუჟეტები მოემზადებინათ.

მთლიანობაში, „რადიო 1“ არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული არ ყოფილა. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევებიც არ დაფიქსირებულა. რადიოარხი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების

გაშუქებით, ხელს უწყობს პოლარიზების თავიდან აცილებას. თუმცა, წყაროთა სიმწირე და მწვავე კითხვების ნაკლებობა კვლევაც პრობლემად რჩება.



### „პირველი რადიო“

წინასაარჩევნო პერიოდში „პირველი რადიო“ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 37 წუთი დაუთმო. ყველაზე ხშირად მთავრობა (18%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (17%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%) გაშუქდნენ. დროის უმეტესი ნაწილი ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა, თუმცა ხშირად ხელისუფლების მიმართ კრიტიკული პოზიციებიც გაჟღერდა, რაც კოალიცია „ქართულ ოცნების“ 43%-იან უარყოფით ტონში აისახა.

სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული იყო და ისმოდა განსხვავებული პოზიციები. გარდა ამისა, გადაცემის 60% რესპონდენტების ხმა ისმოდა. ხშირად, პროცესების უკეთ გასაგებად, ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებსაც აჟღერებდნენ. ვრცლად შუქდებოდა პოლიტიკური პროცესები და პარტიების აქტივობები, თუმცა იგივეს ვერ


ვიტყვი იხეი საკითხების გაშუქებაზე, როგორცაა სოციალური პრობლემები, კულტურა თუ სპორტი.

ასევე დაფიქსირდა საინფორმაციო გამოშვებების დროის ირაციონალურად გადანაწილების შემთხვევები. მაგალითად, 22, 23, 24, 25 ივნისის საშუალოდ 12 წუთიანი გადაცემების 8 წუთი სამეგრელოში, სოფელ კორცხელში, № 53 საარჩევნო უბანთან მომხდარ დაპირისპირებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს დაეთმო. იგივე შეიძლება ითქვას ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ბრიფინგზე, სადაც მან სააპელაციო სასამართლოს მიერ განაწესის დარღვევაზე ისაუბრა. თუმცა, იმის თქმის საფუძველი, რომ სიუჟეტები დაბალასებული არ იყო, არ არსებობს.

რიგ შემთხვევებში ჟურნალისტები წინაისტორიას არ წარადგენდნენ და სიუჟეტის კონტექსტი გაუგებარი რჩებოდა. ასე მაგალითად, 21 მაისის გადაცემაში გასულ ერთ-ერთ სიუჟეტში საუბარი იყო „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე, სადაც პარტიის წევრებმა დავით კოლუაშვილის განცხადებები გააკრიტიკეს, თუმცა, არ იყო ახსნილი კოლუაშვილის რომელ განცხადებას გულისხმობდნენ. ამასთან, კოლუაშვილის პოზიციაც არ გაშუქებულა.

მთლიანობაში, „პირველი რადიო“-ს საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტების უმეტესობა დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ასევე, დაცულია ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები. თუმცა, ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და იხეი თემების მიგნება, რომელზეც პოლიტიკოსები პრესკონფერენციებზე არ საუბრობენ გადაცემას უფრო ანალიტიკურსა და ინფორმატიულს გახდიდა.

სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%)  
 "პირველი რადიო"  
 სულ: 6 სთ. 37 წთ.



რადიო „პალიტრა“


რადიო „პალიტრა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ვრცლად და სიღრმისეულად აშუქებდა. ჯამში მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ 5 საათი და 17 წუთი შეადგინა. აქედან, ყველაზე მეტი დრო მთავრობის (31%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (12%) და პრემიერ-მინისტრის (10%) გაშუქებაზე მოდიოდა. მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დროის 43% დაეთმო. დადებით ტონში ოპოზიციური პარტიები თითქმის არ გაშუქებულან, რადგან მათ ფოკუსი უფრო მეტად ხელისუფლების კრიტიკაზე ჰქონდათ. ამის საპირისპიროდ, მმართველი პოლიტიკური პარტიები კრიტიკას საკუთარ დამსახურებაზე საუბრით პასუხობდნენ, ამიტომაც დადებითი ტონი სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებზე მოდიოდა. ამგვარად, ტონთა მსგავსი გადანაწილება ჟურნალისტის მიკერძოებულობით არ აიხსნება.

მიუხედავად იმისა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ კვლავაც ყურადღების ცენტრში იყვნენ, დრო სხვა პარტიებსაც დაეთმო. ჯამში 10 პარტია გაშუქდა, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი საარჩევნო გარემოს შექმნას.

რადიომაუწყებელი დაბალანსებული სიუჟეტებითაც გამოირჩეოდა. ჟურნალისტების ე.წ. საავტორო სიუჟეტებში წყაროთა მრავალფეროვნება და კრიტიკული კითხვების სიმრავლე განსაკუთრებით იგრძნობოდა. დღის მთავარ თემებთან დაკავშირებით მზადდებოდა ანალიტიკური სიუჟეტები, სადაც ჩანდა ჟურნალისტის ძალისხმევა, რომ საკითხის არსი ამომწურავად და სხვადასხვა რაკურსით გაეშუქებინა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში გასულ გადაცემებში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც დღის აქტუალური საკითხები, საერთოდ ვერ მოხვდა, ან ვერ მოხვდა ძირითად სიუჟეტებს შორის. მაგალითად, 13 ივნისს გასულ გადაცემაში არ გაშუქებულა მანანა კობახიძის ძმის ირგვლივ აგორებული სკანდალის შესახებ ინფორმაცია. ამავე გადაცემაში ერთ-ერთ ბოლო ნიუსად გავიდა საკონსტიტუციო სასამართლოს საპასუხოდ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გაკეთებული განცხადება.

გასული წლების მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ „პალიტრას“ საინფორმაციო გამოშვებები კიდევ უფრო სიღრმისეულია. თუმცა, აღნიშნული მხოლოდ ერთ საანგარიშო პერიოდს ეყრდნობა და საბოლოო დასკვნის გაკეთება მომდევნო პერიოდების მონიტორინგის შედეგების ანალიზით შეგვეძლება.




## რადიო „ქალაქი“

„რადიო ქალაქი“, მიუხედავად მოკლე საინფორმაციო გამოშვებისა, პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა, რაც 14 პოლიტიკური პარტიისთვის დათმობილ დროშიც გამოიხატება. თუმცა, აქაც პრობლემად რჩება მოვლენების ზედაპირული გაშუქება. ასევე ნაკლებია ანალიზი და სპეციალისტების, მოქალაქეებისა თუ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა.

ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს 2 საათი და 58 წუთი დაეთმოთ, აქედან 24% მთავრობა შუქდებოდა, 13% - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო 11% - პრემიერ-მინისტრი. მონიტორინგის არცერთ სუბიექტს დადებით ან უარყოფით კონტექსტში მნიშვნელოვანი დრო არ დათმობია. მაშინ როდესაც დროის 35% პირდაპირ გაშუქებაზე მოდიოდა, ნეიტრალური ტონის სიჭარბე მშრალი და ჟურნალისტის კრიტიკულ კითხვებს მოკლებული გაშუქებით უნდა აიხსნას. ამ დასკვნას თვისებრივი მონაცემები ამყარებს: საანგარიშო პერიოდის მანძილზე არცერთი ანალიტიკური სიუჟეტი არ მომზადებულა, ხოლო ცალკე აღებული სიუჟეტები ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა. ამასთან, ჟურნალისტები პოლიტიკოსების განცხადებებს ისე აშუქებდნენ, რომ რესპონდენტებს საპასუხო მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა არ უწევდათ.

რადიო „ქალაქი“ პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას დიდ დროს უთმობდა. ამასთან, არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ იკვეთება. სხვა რადიოების მსგავსად, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ეთიკის სტანდარტებიც დაცული იყო. აღნიშნული კარგ წინაპირობას ქმნის, რომ რადიომაუწყებლმა ამომრჩევლის ინფორმირებულობას ხელი შეუწყო, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტები მეტი პროაქტიულობას გამოიჩინენ, კითხვებს ფაქტებით გაამყარებენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას შეეცდებიან.

**სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით(%)**  
**რადიო "ქალაქი"**  
**სულ: 2 სთ. 58 წთ.**



**რადიო „თავისუფლება“**

რადიო „თავისუფლება“ კვლავაც ყველაზე სიღრმისეულ და ანალიტიკურ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონიტორინგის სუბიექტებს 7 საათი და 45 წუთი დაუთმეს, საიდანაც ყველაზე მეტი დროით მთავრობა (30%) გაშუქდა, შემდეგ მოდის კოალიცია „ქართული ოცნება“ (13%), ადგილობრივი მთავრობა (12%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%). მთლიანი დროის 27% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, რისი საშუალებაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს თითქმის თანაბრად ეძლეოდათ.

რადიომაუწყებელი ტონთა სიჭრელითაც გამოირჩეოდა. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი სუბიექტებს დადებით და უარყოფით ტონში დაეთმოთ, რაც საკითხების მრავალფეროვანმა და სხვადასხვა რაკურსით გაშუქებამ გამოიწვია. კრიტიკის ყველაზე დიდი წილი კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუგროვდა, თუმცა ამის კომპენსაცია პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დადებით კონტექსტში გაშუქებაში შეიძლება ვნახოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციური პარტიები ხშირად ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, თუმცა ჟურნალისტები საკუთარი პოზიციის




დაფიქსირების საშუალებას მთავრობის წარმომადგენლებსაც აძლევდნენ და მათ საპასუხო არგუმენტების წარმოჩენა შეეძლოთ.

სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობისგან განსხვავებით, ჟურნალისტები პოლიტიკოსებს მედიის წინასაარჩევნო PR ტრიბუნად გამოყენების საშუალებას არ აძლევდნენ, რაც მათ განცხადებებზე ჟურნალისტის მწვავე კითხვებით, ანალიზით, ფაქტების მოძიებითა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით მოხერხდა. ამგვარად, უარყოფით კონტექსტში თითქმის ყველა სუბიექტი გაშუქდა. ჟურნალისტები პროაქტიულობით გამოირჩეოდნენ და კეთდებოდა ექსკლუზიური სიუჟეტები ისეთ თემებზე, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში ნაკლებად შუქდებოდა (უმცირესობების პრობლემები, გენდერი, სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემები). ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა თბილისის გარეთ მიმდინარე მოვლენებს და ამ მხრივ, ხშირად უფრო მეტი ინფორმაციული სიუჟეტები მზადდებოდა, ვიდრე თავად რეგიონული რადიომაუწყებლების ეთერში.

რადიო „თავისუფლება“ დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ყოველდღიურად შედარებით ნაკლები რაოდენობის ახალი ამბები შუქდება, ვიდრე სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობაზე, თუმცა შერჩეული დღის მთავარი თემები სიღრმისეულად და ამომწურავად განიხილება, რაც ამომრჩევლის ინფორმირებულობას უფრო მეტად შეუწყობს ხელს, ვიდრე მრავალი ზედაპირული ახალი ამბავი ერთად.

**სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით(%)  
რადიო "თავისუფლება"  
სულ: 7 სთ. 45 წთ.**




**რადიო "მაესტრო"**

რადიო „მაესტროს“ ეთერში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ვრცლად შუქდებოდა, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ამბები. ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს 9 საათი და 20 წუთი დაეთმოთ. აქედან, საუბრის 21% მთავრობას, 18% „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ და 13% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ეხებოდა. საკმაოდ ინტენსიურად შუქდებოდა არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიც. ამასთან, დროის 52% რესპონდენტების ხმა ისმოდა; პირდაპირი საუბრის საშუალება ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს თითქმის თანაბრად ეძლეოდათ.

ჟურნალისტები მიუკერძოებლად და სუბიექტური შეფასებების გარეშე მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, ახალი ამბების გამოშვებები მაინც ზედაპირული და ანალიტიკას მოკლებული იყო. ჟურნალისტები საკუთარ კითხვებს ფაქტებით იშვიათად ამყარებდნენ და პოლიტიკოსთა განცხადებებისა თუ რეპლიკების მშრალი მიმოხილვით შემოიფარგლებოდნენ. შესაბამისად, სუბიექტებს დრო უფრო მეტად დადებით ტონში დაეთმოთ, ვიდრე უარყოფითში.

ასევე, თითქმის არ მომზადებულა ე.წ. საავტორო ან ექსკლუზიური სიუჟეტები, სადაც ჟურნალისტები ისეთი თემებისა და ინფორმაციის მოძიებით დაკავდებოდნენ, რომელიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ გასულა.

რადიომაუწყებლის ვრცელი საინფორმაციო გამოშვება და ჟურნალისტების მიუკერძოებლობა ხარისხიანი ახალი ამბების გამოშვებისთვის კარგ ბაზისს ქმნის. თუმცა, ზედაპირული გაშუქება ამომრჩეველს ანალიზისა და ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების საშუალებას ნაკლებად აძლევს. შესაბამისად, თუ ჟურნალისტები მეტ პროაქტიულობას არ გამოიჩენენ და რესპონდენტებს მწვავე კითხვებს არ დაახვედრებენ, იზრდება რისკი, რომ პოლიტიკოსები რადიომაუწყებლის ეთერს საკუთარი PR-სთვის შეუფერხებლად გამოიყენებენ.




**რადიო „ფორტუნა“**

რადიო „ფორტუნას“ მცირე ქრონომეტრაჟის საინფორმაციო გამოშვებები აქვს, სადაც წამყვანი მსმენელს რამდენიმე ახალ ამბავს მოკლედ და მშრალად აცნობს. სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო ნაკლებად ეთმობათ, მათ კომენტარებს ჟურნალისტი კითხულობს. თუმცა, დროის 41% რესპონდენტების პირდაპირ საუბარზეც მოდის, რაც გადაცემებში მოწვეულ

სტუმართან ჩაწერილი ინტერვიუების ხარჯზე დაგროვდა. ჯამში, სუბიექტებს 1 საათი და 54 წუთი დაეთმოთ, საიდანაც საუბრის 20% მთავრობას, 17% - კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და 15% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეეხებოდა.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებას არ აკეთებდნენ, მაგრამ ახალი ამბები დაუბალანსებელი იყო და ერთ წყაროს ეყრდნობოდა. ხშირად, ახალ ამბავში რესპონდენტი რომელიმე პოლიტიკოსს აკრიტიკებდა, თუმცა ოპონენტს პასუხის გაცემის საშუალება არ ეძლეოდა, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას არც ჟურნალისტი ცდილობდა. ამგვარად, ხელისუფლების წარმომადგენლებს დროის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფით ტონში დაეთმოთ. თავისთავად, უარყოფითი ტონი პრობლემად არ განიხილება, თუმცა პრობლემაა, როდესაც ამავე საკითხზე მათ საკუთარი არგუმენტების წარმოჩენის საშუალება ნაკლებად ჰქონდათ.

მთლიანობაში, რადიომსაუწყებელი მიუკერძოებლად მუშაობს, თუმცა წინა წლების მსგავსად ზედაპირული გაშუქება კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება, რისი მოგვარების გარეშეც წინასაარჩევნოდ რადიომსაუწყებელი მსმენელის ინფორმირებულ არჩევანს ხელი ვერ შეუწყობს.



## რადიო „იმედი“


რადიო „იმედი“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 30 წუთი დაეთმოთ, აქედან პირველ ოთხეულში სამთავრობო სტრუქტურები, სახელისუფლებო პარტია და მისი დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი მოხვდნენ (ჯამში 56%), შემდეგ მოდის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დროის 10%-ით. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 18%-ით მეტი დრო დაეთმო პირდაპირი საუბრისთვის, ვიდრე მომდევნო ოპოზიციურ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. დროის გადანაწილებაში მსგავსი დისბალანსი ტონებზეც აისახა. ყველაზე ხშირად გაშუქებულ ოპოზიციურ პარტიას დადებით ტონში მხოლოდ 8% დაეთმო, ხოლო ხელისუფლებას გაცილებით მეტი, განსაკუთრებით კი პრემიერ-მინისტრსა (41%) და მთავრობას (26%). თუმცა, თვისებრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ რადიო „იმედი“ მიუკერძოებლად მუშაობდა და აზრის გამოთქმის საშუალებას ყველა მხარეს აძლევდა. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი რაოდენობრივი მონაცემიც, კოალიცია „ქართული ოცნების“ 54%-იანი უარყოფითი ტონი.

ჟურნალისტები სიუჟეტებს აბალანსებდნენ და სხვადასხვა მხარეების პოზიციებს წარმოაჩენდნენ. დრო არასამთავრობო სექტორსაც ეთმობოდა. ასევე, მცირე დროით მთელი რიგი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიც შუქდებოდა. მიუხედავად ამისა, მრავლადაა მოვლენების ზედაპირული გაშუქების შემთხვევებიც, რაც ფაქტებით გამყარებული მწვავე კითხვების ნაკლებობით არის გამოწვეული. ასევე არის ხარვეზები, როდესაც ჟურნალისტი სინქრონის დაწყებამდე რესპონდენტს არ წარადგენს, ამგვარად მსმენელისთვის კომენტარის ავტორის გარჩევა რთულდება და კონტექსტიც გაუგებარი ხდება. იყო შემთხვევები, როდესაც მონიტორინგის ჯგუფმა რესპონდენტის იდენტიფიცირება ვერ მოახერხა და შესაბამისად, აღნიშნული დრო რაოდენობრივად ვერ დაითვალა.

რადიო „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი მრავალფეროვანი თემების გაშუქების საშუალებასაც იძლევა, მიუხედავად ამისა, სოციალური თუ უმცირესობების პრობლემები უმეტესად ყურადღების მიღმა რჩება. აღნიშნულ პრობლემებზე პასუხისმგებელი პირებისა და პოლიტიკური პარტიების ხედვების წარმოჩენა ამომრჩეველს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა.

რადიომაუწყებლის ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებენ და ეთიკის სტანდარტებიც დაცულია.

**სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით(%)  
რადიო "იმედი"  
სულ: 6 სთ. 30 წთ.**




**რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)**

რადიო „ათინათის“ საინფორმაციო გამოშვება 5 წუთს არ აღემატება, ამიტომაც ჯამში მონიტორინგის სუბიექტებს მხოლოდ 48 წუთი დაეთმოთ. აქედან, საუბარი ძირითადად მთავრობას (38%), ადგილობრივ მთავრობასა (22%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (15%) შეეხებოდა. ახალი ამბების უმეტესი ნაწილი დაუბალანსებელი იყო და სიღრმისეული სიუჟეტი არ მომზადებულა, ამიტომაც დროს დიდი ნაწილი დადებით ტონზე მოდის, უარყოფითი ტონი კი პოლიტიკოსთა ურთიერთკრიტიკული განცხადებების ციტირებამ გამოიწვია. წამყვანი საინფორმაციო სააგენტოს სტილის ახალ ამბებს თავად კითხულობდა და რესპონდენტების ხმა არ გაჟღერებულა.

რადიომაუწყებელი ძირითადად ცენტრალურ მთავარ ამბებს აშუქებდა და რეგიონში მიმდინარე მოვლენებს კიდევ უფრო მცირე დრო ეთმობოდა. ჟურნალისტები სამეგრელოში არსებულ სოციალური და უმცირესობების პრობლემებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. აღნიშნული აჩენს ეჭვს, რომ წამყვანი საინფორმაციო სააგენტოების მომზადებულ ახალ ამბებს ციტირებდა და ჟურნალისტები საავტორო სიუჟეტების მომზადებაზე დროს თითქმის არ ხარჯავდნენ. ამასთან,

სიუჟეტებში სამთავრობო პროექტების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არ იგრძნობოდა და მწვავე კითხვებიც არ ისმოდა.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ეთიკის სტანდარტებსაც იცავდნენ. თუმცა, მშრალი და ზედაპირული გამოშვებები მსმენელს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ აზრის ჩამოყალიბების საშუალებას ვერ მისცემს. რეგიონული რადიომაუწყებლისთვის, რომელსაც ისედაც მცირე ქრონომეტრაჟი აქვს, უმჯობესი იქნებოდა თუ დროის უმეტეს ნაწილს, ცენტრალურის მაგივრად, რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას დაუთმობდა.



**რადიო „რიონი“ (ქ. ქუთაისი)**

რადიო „რიონი“ დაახლოებით 10 წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებს, სადაც მოკლედ მიმოიხილავს როგორც ცენტრალურ, ასევე იმერეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს. ჯამში სუბიექტებს 5 საათი და 9 წუთი დაეთმობთ. აქედან, დროის 19% ადგილობრივ მთავრობაზე მოდიოდა, 16% - მთავრობაზე, ხოლო 11% - კოალიცია „ქართულ ოცნებაზე“. რესპონდენტების პირდაპირი საუბარი დროის 27%-ს მოიცავდა.

რადიომაუწყებელი ივნისის თვეში საარჩევნო კამპანიის გაშუქებას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, თუმცა პოლიტიკური პარტიების, მათ შორის არასაპარლამენტოს, შესახებ

მომზადებულმა სიუჟეტებმა ივლისის თვეში საგრძნობლად იმატა. გადმოცემული ინფორმაცია ჯერჯერობით ზედაპირულია და მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებების გაშუქებით შემოიფარგლება. როგორც სიუჟეტებიდან ვიგებთ, იმერეთში წინასაარჩევნო კამპანია (პროგრამების წარდგენა, მოსახლეობასთან შეხვედრები და შტაბების დაკომპლექტება) ჯერ აქტიურ ფაზაში არ შესულა. ამიტომაც, სიღრმისეული სიუჟეტების მომზადება მომდევნო საანგარიშო პერიოდებში უფრო მოსალოდნელია.

რადიომაუწყებლის მთავარ პრობლემად ზედაპირული და ანალიტიკას მოკლებული გაშუქებაა. ჟურნალისტები რესპონდენტებისგან კომენტარების მიღებას აქტიურად ცდილობდნენ, თუმცა მათი კითხვები ნაკლებად მწვავე იყო და პოლიტიკოსებს საშუალება ეძლეოდათ, რომ საკუთარი თავი დადებით კონტექსტში წარმოეჩინათ. აღნიშნული, ტონთა დისბალანსზეც აისახა, სადაც დადებითი ტონი მკვეთრად ჭარბობდა. განსაკუთრებული პრობლემა ადგილობრივი ხელისუფლების თითქოს მიკერძოებული გაშუქებაა, კერძოდ, ქუთაისის მერის, შოთა მურღულიასადმი ყურადღება. ჟურნალისტები მას დიდ დროს უთმობდნენ. მას დრო ეთმობოდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული და სპორტული შეხვედრების გაშუქებისას. მაგალითად, ჭადრაკის ჩემპიონატის მიმდინარეობისას, ჟურნალისტი კომენტარს ქალაქის მერისგან იღებს და არა მაგალითად, ტურნირის რომელიმე მონაწილისგან. მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდება ან რესპონდენტისთვის მწვავე კითხვების დასმა წინასაარჩევნოდ ერთი-ორად მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს ან ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოაშკარავდეს, ადმინისტრაციული რესურსის რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ გამოყენება.


მთლიანობაში, რადიომაუწყებელი ეთიკის სტანდარტებს იცავს. ამასთან, ჟურნალისტები გაცილებით უფრო აქტიურები არიან, ვიდრე სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობაში, რაც მათ მიერ კომენტარების ჩაწერაში და მრავალი ღონისძიებების გაშუქებაში გამოიხატება. თუმცა, ჟურნალისტების მხრიდან მეტი სკეპტიციზმის გამოჩენის და ფაქტებზე დაფუძნებული კრიტიკული კითხვების დასმის გარეშე, პოლიტიკოსების მხრიდან რადიოეთერის PR-სთვის გამოყენა ადვილდება.



### სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით(%)

რადიო "რიონი"

სულ: 5 სთ. 09 წთ.



### რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი)


რადიო „ჰერეთი“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. წინა წლის მედია მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, გამოშვებებში საგრძნობლად გაიზარდა ცენტრალურ ამბებზე მომზადებული სიუჟეტების რიცხვი, რაც რადიომაუწყებლის დაფარვის არეალის ზრდით აიხსნება, თუმცა „ჰერეთი“ კვლავაც განაგრძობს კახეთის რეგიონის ამბების ინტენსიურ გაშუქებას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 6 საათი და 15 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დროით გაშუქდა მთავრობა (23%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (14%) და ბიძინა ივანიშვილი (12%). სუბიექტებს დროის უმეტესი ნაწილი (53%) პირდაპირი საუბრისთვის ეთმობოდათ. რადიომაუწყებელი ყურადღებას უთმობდა წინასაარჩევნო პროცესებსაც და მცირე დროით არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებსაც აშუქებდა. თუმცა, ამ შემთხვევაში ჟურნალისტები განცხადებების მოკლე ციტირებით შემოიფარგლებოდნენ და ნაკლებ სკეპტიციზმს იჩენდნენ.

სიუჟეტები წყაროთა სიმრავლით გამოირჩეოდა. მოვლენების სხვადასხვა რაკურსით გაშუქება ტონთა სიჭრელზე აისახა. რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტები პროაქტიულობით გამოირჩეოდნენ. ისინი მწვავე კითხვებს სვამდნენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებასაც

ცდილობდნენ. აქტიურად აშუქებდნენ პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ სპორტულ სიახლეებს. გამოვლენილ პრობლემებთან დაკავშირებით პასუხისმგებელ პირებს კრიტიკულ კითხვებს უსვამდნენ. ამიტომაც, სუბიექტებს, რომლებიც ხშირად შუქდებოდნენ, უარყოფითი ტონიც დაუგროვდათ.

რადიომაუწყებელი მიუკერძოებელი და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. წინა წლებთან შედარებით საინფორმაციო გამოშვების ხარისხი გაუმჯობესებულია. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება კვლავაც დასახვეწია. პოლიტიკური პარტიების ხედვებსა და მათ სამომავლო გეგმებზე კრიტიკული და სიღრმისეული სიუჟეტების მომზადება რადიო „ჭერეთის“ მსმენელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.




**რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი)**

რადიო „აჭარა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. ყურადღება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განვითარებულ მოვლენებზე მახვილდებოდა. ჟურნალისტები აშუქებდნენ როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ მოვლენებს. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 3 საათი და 45 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 19% ადგილობრივ

მთავრობას, 16% - მთავრობას და 15% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაუგროვდათ. პირდაპირ საუბარზე დროის 34% მოდიოდა.

წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება ჯერჯერობით აქტიურ ფაზაში არ შესულა. თუმცა, უკვე მომზადდა რამდენიმე სიუჟეტი აჭარაში პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ. რადიომაუწყებელი მოკლე, თუმცა დაბალანსებულ სიუჟეტებს ამზადებდა. უმეტესად, ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ არსებულ რამდენიმე პოზიციას აშუქებდნენ, თუმცა აღნიშნული ფორმატი მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა. ჟურნალისტის ინიციატივა, რომ დამატებითი მასალები მოეპოვებინა და მწვავე კითხვები დაესვა ნაკლებად იგრძნობოდა. იგივეზე მიუთითებს ჭარბი ნეიტრალური ტონი. ამასთან, წამყვანი ზოგჯერ რესპონდენტს არ წარადგენდა და მსმენელისთვის გაურკვეველი რჩებოდა თუ ვის საუბარს ისმენდა.

მთლიანობაში, რადიომაუწყებელი მიუკერძოებელი და დაბალანსებულია. დაცულია ეთიკის სტანდარტებიც. ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა და კრიტიკული კითხვების სიმწირე კი კვლავაც გამოსასწორებელია.



## დასკვნა

საანგარიშო პერიოდში რადიომაუწყებლები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აქტიურად აშუქებდნენ, თუმცა სოციალურ საკითხებსა თუ უმცირესობების პრობლემებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. წინა წლების მსგავსად, რადიომაუწყებლები არცერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულები არ არიან. თუმცა, ზედაპირული და მშრალი გაშუქება პრობლემად რჩება. ჟურნალისტები მხოლოდ განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდნენ და რესპონდენტებს მწვავე კითხვებს არ ახვედრებდნენ. ამიტომაც, არსებობს რისკი, რომ წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსები ეთერს საკუთარი პოლიტიკური გუნდის PR-სთვის გამოიყენებენ და ამისთვის ფაქტების დასაბუთება, არგუმენტების მოშველიება და ჯანსაღი კამათი ნაკლებად მოუწევთ. შესაბამისად, საჭიროა ჟურნალისტების მხრიდან მეტი სკეპტიციზმის გამოჩენა, ინტერვიუებისთვის წინასწარ მომზადება და ფაქტებზე დაფუძნებული კრიტიკული კითხვების დასმა. განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა გაშუქდეს სახელმწიფო პროექტები, რომელზეც მმართველი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობენ, რადგან ადმინისტრაციული რესურსის რომელიმე პოლიტიკური გუნდის სასარგებლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით უპასუხო კითხვები არ დარჩეს.

მოვლენების ზედაპირული გაშუქება მსმენელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში ვერ დაეხმარება და რადგან ხშირია სხვადასხვა რადიომაუწყებლების ეთერში თითქმის იდენტური სიუჟეტების რიცხვი, მსმენელი ვერც მაშინ შეძლებს არგუმენტირებული აზრის ჩამოყალიბებას, თუ ერთის ნაცვლად რამდენიმე რადიომაუწყებელს მოუსმენს. გამონაკლისს წარმოადგენს, რადიოები „თავისუფლება“ და „პალიტრა“, ხოლო რეგიონული რადიომაუწყებლებიდან „ჭერეთი“. აღნიშნული რადიომაუწყებლები შედარებით სიღრმისეულ და ანალიტიკურ სიუჟეტებს ამზადებენ. ამასთან, გაუმჯობესება იგრძნობა სიუჟეტების დაბალანსების კუთხითაც, მაგალითად, წინა წლების მონიტორინგთან შედარებით მეტად დაბალანსებულია „პირველი რადიო“ და „აჭარა“.

ახალი ამბების გამოშვებები ნაკლებად პოლარიზებულია. მართალია ყველაზე მეტი დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს ეთმობა, თუმცა გაზრდილია სხვა პოლიტიკური პარტიების გაშუქების დროც. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით პარტიების პოლიტიკურ ხედვებზე ანალიტიკური სიუჟეტები არ მომზადებულა და ძირითადად

ერთმანეთის განცხადებების შეფასებებისა და წინასაარჩევნო ღონისძიებებზე დასწრებისას შუქდებიან.

მთლიანობაში, რადიომაუწყებლები მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობენ. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებენ. არც ფარული რეკლამის, სიძულვილის ენის გამოყენების და ხმით/მუსიკით მანიპულირების შემთხვევები დაფიქსირებულა. აღნიშნული კარგ წინაპირობას იძლევა, რომ რადიომაუწყებლები წინასაარჩევნოდ ამომრჩევლის ინფორმირებულ გადაწყვეტილებას ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობენ. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- ჟურნალისტები უფრო მეტ პროაქტიულობას გამოიჩინენ და დამატებითი თემების / ინფორმაციების გაშუქებას შეეცდებიან;
- ჟურნალისტები მეტ სკეპტიციზმს გამოიჩინენ და შეცვლიან ტენდენციას, რომ პოლიტიკოსს არგუმენტებისა და მათი საპასუხო მწვავე კითხვების გარეშე შეუძლია ეთერი საკუთარი PR-სთვის გამოიყენოს;
- რადიომაუწყებლები მეტ ყურადღებას დაუთმობენ სოციალურ და უმცირესობების პრობლემებს, რასთან დაკავშირებითაც პასუხისმგებელი პირებისა და პოლიტიკოსების პოზიციებს წარმოაჩენენ;
- მეტ დროს დაუთმობენ არასამთავრობო სექტორისა და სპეციალისტების შეფასებებს, რაც მოვლენების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას გაზრდის;
- რეგიონებში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებს მეტ ყურადღებას მიაქცევენ და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ იმ შემთხვევების გაშუქებით, რომელიც ცენტრალურ ამბებს უკავშირდება (მაგ. კორცხელის ინციდენტი);
- რადიომაუწყებლები მეტ ყურადღებას მიაქცევენ პარტიების პოლიტიკურ ხედვებსა და პროგრამებს და მოსახლეობასთან შეხვედრების ზედაპირული გაშუქებით არ შემოიფარგლებიან;
- ჟურნალისტები თავიდან აირიდებენ ან კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოიჩინენ პოლიტიკოსების ისეთ ღონისძიებებზე გაშუქებისას, რომელიც ამ უკანასკნელს პირდაპირ ნაკლებად უკავშირდება (მაგ. სპორტულ, კულტურულ, რელიგიურ, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე პოლიტიკოსთა ვიზიტების მკვეთრად პოზიტიურ კონტექსტში გაშუქება).